

ნახ. ღონისა

ბრძოლისა და შრომის გმირებს

ფრონტზე მამაცად იბრძოდით,
ზღაპრულ დევ-გმირთა დარები,
ხეტყვად აურიდით ყუმბარებს
ბერლინს უმტკრიეთ ქაარები.

ყანაში ტაროს ხეავსა დვამთ,
მამულს კვლავ ეიმედებით,
მკერდზე ოქროსფრად გიბრწყინავთ
ბრძოლის და შრომის მედლები.



ჩიტილი: — მაგრად დასცხეთ მის ტერენო, და მისხვრეთ ქიბკლდე.
მარშალი: — თავს არ ვიზოგავთ სერ, მეტად მაგარი ყოფილა.

შავი კბილები დაღესა
ამერიკელმა დაღესმა,
სთქვა: შენი ქება დე-გოლო,
მე ვაშინგტონშიც ჩამესმა.

და გაიფხორა დე-გოლი
ხუთი თვის მამალივითა,
— დიხამც, ჩემი დიდება
თვით ტრუმენამდე მივიდა

და მადლიერი ჩერჩილიც
სახეში ვარდებს მყაროდა.
მე ვარ და ჩემი კისერი,—
მსოფლიოს დაცქერ მადლიდან.

მომეცით მთავარსარდლობა,
შეი, მომეცით ჯარები,
არ დაივიწყეთ დოლარიც,
არ დამაყენოთ თვალები.

ნახავთ, რომ ყველგან გრგვინავდეს
ჩემგან ნათქვამი მარტივად:
— იცოდეს, ყველამ იცოდეს
რომ დიდი ბონაპარტე ვარ!

ფეხის წვერებზე წამოვდა
ფოსტერ დოლარსტერ დაღესი,
შაურის ტოლა შუბლზედა
დე-გოლს აკოცა ალერსით...

თეიმურაზ ჯანაშვილი

ქალი და მოსავალი

ბანკეტზე ვარ მიწვეული—
ქალთა პათივსაცეზად...
— რვა მარტია, ზეიმია,—
მომმართა ბიძაჩემმა,—

ლექსი უძღვენ მანდილოსნებს,
ქალიშვილებს, დედებს, დებს,—
ჩაენი სიდი საქმისთვის
მებრძოლებს და მშენებლებს!

ლექსი უძღვენ, პოეტებს ხომ
მართებთ მათთვის გალობა,
ვინც გმირობის შარავანდით
მშისავს თავის ქალობას,

ვინც შეიღს ზრდიდა მამულისთვის
ვაქცა და დევივირად
და ზღაპრად ბრძოლის ველზე,
რომ მტრის გული ეგმირა!

ვინც ქმარს და ძმას მხარში უდგას—
ფრანტზე არის—თუ შინა,
ვინც ყველანი გვასახელა
აი, თუნდაც გუშინა.

გაზეთი რომ წავიკითხე,
კრემლის ბრძანებულება,
შრომის გმირთა ხეც ვნახე,
გამიბრწყინდა გუნება,—

სახანლო მებრძოლები
ჩვენი ქვეყნის მინდორთა,
სათათოდ გადმეკოცნა—
წრფელი გულით მინდორა!

მათ შორის კი—იმ ქალების
მაჯის კოცნა მომინდა,
ვინც რომ გმირად გამოვიდა
ჩვენს მინდვრებთან ომიდან!

ვინც ზღვად დასდგა მოსავალი,
ოქროს მარცვალს უარა...
ლექსი უძღვენ,—პოეტისთვის
ეს თემა თუ არა?

რამდენ გმირ ქალს გაიხენებ
მათი მაგალითითა!
ლექსი უძღვენ, დამშვენე
სიტყვის მარგალითითა:

ციტრუსების მწვანე ბაღარს,
ოქროებით ელვარებს,
ჩაის მინდვრებს, მობიბინე
ჯეჯილებით მღეღვარებს,

ქარხლის ფართო ხოდაბუნებს,
ზვრებს, თამბაქოს ნაფურებს,—
რამდენ გმირი ქალის ხელი
მოსავლის ზღვად აფუძნებს.


ლექსი უძღვენ, შენი სიტყვა
არ მომესმას უარად,—
ლექსი უძღვენ, პოეტისთვის
ეს თემა თუ არა!

ეს მითხრა და, ყველა დაშფრებს
მზერა ჩემსკენ დაწვერა,
ტაში ერგო ბიძაჩემსა,
მე—აჱ ლექსის დაწვერა!

ფარსადანი

არითმევიკის გაკვეთილება

ნახ. ლალისა




— კოლმეურნეობის ერთმა ბრიგადირმა, სოციალისტური შრომის
გმირმა, 6 ჰექტ. ფართობის თვითეულ ჰექტარზე 80 ცენტნერი
სიმინდი მოიყვანა, რამდენ ცენტნერს მოიყვანს იგი 10 ჰექტარზე?
— მაგ ამოცანის გამოყვანა შეუძლებელია, მასწავლებლო!
— რატომ?
— იმიტომ რომ ასეთი ბრიგადირებისათვის ნორმები არ არსებობს!

ნახ. დონისა



— ღმერთმა ააშენოს კომპოზიტორი კრიჭინოზელი, სწორედ ჩვენს კვარტეტის შესაფერი მუსიკა დაუწერია.

ნ. ს. შენგელია



გარდაიცვალა ჩვენი უფროსი აქტიური თანამშრომელი — ძველი იუმორისტი და კორესპონდენტი ნესტორ შენგელია (ჭაგნელი ბზიკი).

ამხ. ნესტორი კალმის მუშაკთა იმ ჯგუფს ეკუთვნოდა, რომელიც სიტყვიერად და საქმიანად მუშაობდა თავდადებით და კეთილსინდისიერად ემსახურება საზოგადოებრივ საქმეს, ხალხის ინტერესებს.

34 წლის განმავლობაში იგი განუწყვეტლივ ათავსებდა ქართულ იუმორისტულ ჟურნალებში და გაზეთებში სატირულ ლექსებსა და საქმიან კორესპონდენციებს, რითაც მშრომელი მკითხველების ყურადღება და სიმპატია ჰქონდა დამსახურებული.

მან საზოგადოების ყურადღება განსაკუთრებით მიიქცია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იუმორისტულ ჟურნალებში აქტიური თანამშრომლობით.

ნ. შენგელია ჯერ „ტარტაროში“ და შემდეგ კი „ნიანგში“ „ჭაგნელი ბზიკის“ ფსევდონიმით სამტრედიიდან სისტემატურად ათავსებდა სატირულ ლექსებსა და კორესპონდენციებს, რომლებშიც მოაუბრებლად ამხელდა და ამათრახებდა საზოგადოებრივი ცხოვრების მახინჯ მოვლენებსა და სოციალისტური მშენებლობის ხელის შემშლელებს.

მისი სხარტი ლექსები და სცენები მუდამ ყურადღებას იქცევდა, როგორც ნიჭიერად და მიატრეული ზომიერებით დაწერილი.

ამხ. ნ. ს. შენგელია დასაფლავებული იქნა სამტრედიის სადაც იგი მუდმივად ცხოვრობდა და მუშაობდა.

მისი ხსოვნა დაუვიწყარი იქნება მეგობართა შორის.

ს ქ ე ს ი ს ს ა კ ი თ ხ ი ს ი მ ფ ო ნ ი ა შ ი

ეს ანტიმუსიკალური ისტორია შარშან გადახდა ჩემს ნაცნობ კომპოზიტორს ბახვა ინწკირველს.

თებერვლის ბოლო რიცხვებში დაამთავრა, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, საშუალო ყალიბის სიმფონია. მუსიკოსთა წრე, როგორც მოსალოდნელი იყო, სხვადასხვანაირად შეხვდა. ერთნი აღფრთოვანებით შეეგებნენ, მეორენი კი ზურგს უკან დაბალ ნოტებზე ახმაურდნენ და გაიძახოდნენ, რომ კომპოზიტორი ინწკირველი პრიმიტივიზმის ბრწყალებში მოექცა.

ასე იყო თუ ისე, სიმფონია ორკესტრს გადასცეს შესასრულებლად. შემსრულებელთა დიდი ნაწილი უგემურად შეხვდა ნაწარმოებს და მსმენელთა ყურს ვერ იხილავდა, რომ ბახვას თანამესუფრე კრიტიკოსს შინაურელს რეცენზია არ გამოეცხა:

„ინწკირველის სიმფონია ეპოქის სულიდან გამომდინარეობს, ნაწარმოები, რომლის შესრულება რვა მარტს, ქალთა საერთაშორისო დღეს არის განზრახული, გვაძლევს ჩვენი ქალების გმირობით აღსავსე ცხოვრებას. სიმფონიის შინაარსი ასეთია: სამამულო ომის პერიოდში დამკვრელი ქალი მიატოვებს დაზვას და მოითხოვს ფრონტზე გაგზავნას. კეთილშობილურ განზრახვაზე უარს არ ეტყვიან. დამკვრელი ქალი, ფრონტზეც დამკვრელია. გმირობა გმირობას მოსდევს. მეგრძოლი ქალი უმაღლეს ჯილდოს ღებულობს. სიმფონიაში განსაკუთრებით ელერს მეგრძოლი ქალის სიმამაცე და თავგანწირვა...“

რეცენზია გასამკეცებელი ნორმით ასხამდა ხოტბას კომპოზიტორს და მის გმირს, მაგრამ არ ვიცი რა მოხდა, ორკესტრმა ვერ მოასწრო, თუ მართლა კომპოზიტორთა ინტრიგამ შეუშალა ხელი, სიმფონია რვა მარტს არ შესრულდებულა.

აპრილის შუა რიცხვებში შევხვდი ბახვა ინწკირველს.

- რა ჰქნა შენმა სიმფონიამ, როდის მოვისმენთ?
- ინტრიგა, ჩემო ძმაო, ინტრიგა ისეთი რამეა, ქვას გახეთქავს!
- დაგიწუნეს?

— დროებით შეაჩერეს. ვერ მოესწრო, მაგრამ ახლა მალე შესრულდება.

- ხალხი გყავს, ალბათ, გადაკიდებული.
- ნულარ იტყვი, გასაქანს არ მადღევენ...
- სულ არავინ გყავს მომხრე?
- როგორ არა, კრიტიკოსი შინაურელი ხმალამოლებული მიცავს. აი, მისი რეცენზია.

ინწკირველმა შინაურელის რეცენზიის ახალი ვარიანტი წამაკითხა:

„სამამულო ომში წვევამდელი ვაჟაკი გაიწვიეს. ახალგაზრდა, სიცოცხლით აღსავსე ჭაბუკი თავგანწირვით იბრძვის, გმირობას გმირობა მოსდევს. მეგრძოლი ჭაბუკი უმაღლეს ჯილდოს ღებულობს. სიმფონიაში განსაკუთრებით ელერს მეგრძოლი ვაჟაკის სიმამაცე და თავგანწირვა...“

— კი მაგრამ შენ ხომ ქალის გმირობაზე გქონდა ეგ სიმფონია დაწერილი?!

— რვა მარტისათვის ვეღარ მოასწორეს შესრულება და შემდეგ კი აქტიუალური აღარ იყო!

— ტყუილ-უბრალოდ გაუწვალეხართ, ალბათ სიმფონიის საფუძვლიანად გადაკეთება მოგიხდა!

- ხელიც არ მიხლია...
- ახლა აპირებ გადაკეთებას?
- რად უნდა გადაკეთება!
- კი მაგრამ იქ ხომ ქალის ამბავია მოთხრობილი?!
- შენი არ მიკვირს?! ზოგი მწერლის ორმოცფორმიან რომანში ვერ გაგვიბა რის თქმა უნდა და მუსიკაში დედრობითსა და მამრობით სქესს ვინ გამოარკვევს!

ინწკირველმა ნერვიულად ჩაიქნია ხელი და გამშორდა.

გ. ივანიშვილი



— ჩამ წაიძინა "მედიკამ" ამ "კალონიონიში" ხალხს ეჩამოგენა!

ხალხურიდან გამოსული



— კომპოზიტორი ღრინაძე კვლავ ხალხური მუსიკიდან აიხსნება...
— დე მუსიკონია!
— დას, იმდენად შინა არის გამოსულია, რამ მას ხალხს არ ემის არაფერი და... ხალხს კი... მისი..

სხვა მიზეზიც არსებობს




— ჩვენმა კრიტიკებმა არაფერი არ იცინა, ეს ხალხები მთლიანად დღლია მდგომარეობაშია და მათზე დაიწუნეს.
— სწორად მაგის გამო დაიწუნეს!

(ნიანგი უძღუნის ამ სკიას ჩვენებურ კავადონისტებს)

ნ ა ნ ის ე და ნ ა ნ ა ს ე კ რ ი ტ ი კ ო ს ო მ ა ნ ა ს ე ..

ნახ. ა. კანდელიანი



1. — შესტაციირი ერთია, მისი განხორბა ამ საუკუნეში ადარ შეიქმნება!

2. — რახუნაშვილი, წვილაშვილი და ყვირილია იგევე შოს ტაკვიჩები არიან, რაც ძირშივე უნდა აღმოცენება!

ყანდაურელის ექსპერიმენტი

სარტყელით დარბაზში მათელი შეწნა. ჩაქვილის მიხეცა გახლდათ დღისი კასრის მოყვნილობის ქალი, რომელსაც ხანძარ შეზოლა კარი, ქვეთი ნაბიჯით ვაიანა დარბაზის ნაწვეირი და ორ სტამზე დიკთია. მასიობებმა გავიციებთი დაუქვეს ხუჩუბა.
— ნიშო ოკრიბელი!
— ჩვენი პრევიტორმა! — გაიხსნა ჭურჭელი.
— ვინ არის ეს ქალი? — ეკითხე ერთ ნაცნობობაანს.
— ჩვენი მსახიობია, დეზდემონას ამხადებს... მოიფიქრე მან ოტელის სტავით?
— რაშდენი წელწადა...
— შერე პრევიტორა?
— პრევიტორა ვერ შესდგება. ჩვენი ზღაპრული რევიტორი ყანდაურელი გეპაქკიმენტს აწარმოებს.
— რა სახისას?
— ნიშო ოკრიბელი სამი წლის წინათ მოვიდა ჩვენს თეატრში. ადმინისტრაციამ სიხარულით მიიღო. დეზდემონას როლის თამაში დაედავდა და სოხოვეს გემარს მდგომარეობაში ჩამდარიყო.
— ეს რაღას ნიშნავს?
— ეს იმას ნიშნავს, რომ როლის უკეთესად დაძღვევის მიზნით, დიდი ხნის განმავლობაში დეზდემონას მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო. უნდა ეცხოვრა ისე, როგორც დეზდემონას შეეფერებოდა.
— ვაგრის ცოლი უნდა გახდარიყო?
— არა, ვაგრის ცოლია რად უნდა იქნა უნდა ეფიქრა, რომ იგი ნამდვილად დეზდემონაა!
— შერე! მიაღწია ნიშანს!

— ნაწილობრივ: მისი კვამი ისეთი გვიანი გახდა, ერთ დღეს, კინაღამ მართლად დახარხო თაქი ცოლი.
— რა ნიადაგზე?
— რთი წულწილია არაფერს აკეთებ და თუტრიდან ზეულისა დეზდემონი, ალბათ ვანდავსის სავდარული ხარო, და ცოლმა რომ დეზდემონის აზრებზეტერ მოეფანა, ოტელისათვის დაეცა, ხელთან გააქდებინეს...
— შერე, დასძლია დეზდემონას რაოლი?
— რაღას დასძლიდა?
— რატომ, მხარი თუ ოტელის დამცვანა?
— მხარი კი დამცვანა ზტელის, მაგრამ ნიშო ოკრიბელი დეზდემონას მდგომარეობაში კლუნის გამო სულ მალად გამოვიდა დეზდემონას მდგომარეობიდან.
— ეს რაღას ნიშნავს?
— დეზდემონა, ვაგრის ცოლი მოგვინებნათ, რომ არც სარტყელით შეიწუნებდა თავს და არც სხვა საჭიანობით. წლებს განმავლობაში ნიშო ოკრიბელი უსაზღო იყო და უბრუნებლმა ცხოვრებამ, სომ ნახეთ რას დაამცვანა, ტრა ფელს იქონის და დეზდემონას როგორღა ითამაშებს!
— ორ სტამზე ამხად ოკრიბელის კასრის მოყვნილობის "დებუნაშვილი" და თანამშრომელია შოს ათვლილებდა ისეთებს, რომ დეზდემონას მდგომარეობაში მდგომარეობაში მდგომარეობაში და მისთვის უბრუნებთი ჩვენს.

იამო



— ეს დირიჟორი ორკესტრიდან ასე შინა რატომ დგან? — მუსიკასთან ახლოს დგან და იხიბენ.

შემოქმედებითი მივინებთ



— ეს მოქალაქე მხატვრია?
— არა, კომპოზიტორია, სიმფონიას ახსნავს.

რადიო აღარ სტყუის

ნახ. გ. ლორცხაღავაძე



— რა ხანდაზმუა ხნობებს, კლდე გაუტყუა?
— არა, ოპერისად ახალი ხანობისი გადმოცემაა..

შეტობა მიაბ



ბებური წლის თეზა



(კ ა ვ თ ი ს ხ ე ვ შ რ ი ხ უ მ რ ო ბ ა)

სიძე სუფრისთავში ზის. იმავე მაღალბურჯიან სე-
ლის სკამზე გამოჭიმულა, რომელზეც ამ სამი წლის
წინათ თავაზით დასვეს. იგივე ბროლის ტიქა უდგას
წინ, ლალისფერი ღვინით სავსე.

წელან, ბინდისას, სიამამრის ვეზოში ფეხი რომ შე-
მოდგა, ისეთივე განწირული კრაზი შეუდგათ ნაცარა
ქათმებს, როგორც მაშინ... ისე ამ თვახში ვერ შემო-
ვა, რომ ერთი ალიაქოთი არ ატყდეს. ხანდახან გაზა-
ფხულის თამამ თიკანს, ან შინაურ კურდღელსაც კი
მისწვდება სიძისმოყვარული სიამამრის ხელი.

სიძე ყოველთვის უარობს, უკან იხევს და ბუზლუ-
ნებს:

— გინდ ეგ სანაშენო კურდღელი დაგიკლავთ და
გინდ სამამულე რქა აგიჭრიათ ვახსიფის! აღარ მო-
ვალ, ჩემმა მზემ, აღარა...

მაგრამ ძალა აღმართს ჰხნავს. მერე რა აღმართს!
აჰყვე და... დანიერული, მრგვლად მოხარული ქათამსაც
გემორიელად შეეპყვება და შემწვარი კურდღლის ძველ-
ბსაც მზარულად იმტვრევს ცერზე.

სიძე მტკარხლვდა, სიამამრი მევენახე, სიამამრი უთქმელი
კაცი, მაგრამ თუ იტყვის უთუოდ ვინმე გაიკენწოდება.

— რას შვრებიან შენი ბიჭები, რალაც მათი ხმა
აღარ მესმის, ტარხლის წვენი ხომ არ შემოკლებით?

გვითხება სიამამრი. ტროლა თვალბუმი ლალისფერი
ღვინო იცინის, ბაგე-ბილს ღმილი მიპარავია.

სიდედრი კრუხივით დასტრიალებს სუფრას. სიძეს
ულიძის, ქმარს დაბლვრით გადახედავს.

— ქა... რა დროს ტარხალია... ვიცით, რომ ღვინო
ბლომად გაქვს!

სიძეს კურდღლის დაბრაწული კანკი გაუვარდება
ხელიდან, უნებურად დაიხრება ასლებად, მაგრამ...
კართან დაკუთხებული უზარმაზარი მურა ძალი ას-
წრებს. ახია, ახი... რად გადაუდგომდე წელან ლუქმა, რად
შეიჩვიე! აღარ იცის სად წაიღოს ხელები ბიჭებ, ხან
ტიქას წაატანა, ხან... დარცხვენით ზის, თავჩაღუნული.
რა კვირბი ენა აქვს სიამამრს. ენა თუ თვალი?..

— ჰაიტ, შე სამგლე... გადი, გა!..
სული მოითქვა. ამოიღულულა:

— წელს ჩვენი ბრიგადისა იქნება დროშა, ისეთი
ტარხალი გვაქვს, რომ...

— ხომ გაგოგონია: ბებური ხარისა რქანიც კი ეწე-
ვიანო... ვერ გვაჯობებთ, ვერა... ბებრებიც ვართ და
ახლაგაზრდებიც ვყოფილვართ. მერე რა ბიჭები! ხე-
ლით ფოცხვერი დამიხრჩვია, ცხენზე, უნაგირჟკან და-
მიკრავს და სოფელში ჩამოშინებია, მაშ... ასე არ
არის, დედაკაცი?..

აჰ, კიდევ გაიხსენა ის ფოცხვერი!

როცა ამ სუფრაზე სხედან და ამ ლალისფერ ღვი-
ნოს შეეჭვვიან, არ შეიძლება, არ იქნება არ მოიგო-
ნოს ის ფოცხვერი.

— კი ბიჭები ხარო, კარგ საქმეს აკეთებთ. თქვე-
ნი სადღეგრძელო იყო!

— კარგია და ვგრძე...
აჰ კი სიდედრიც წაატანს სიტყვას და სიძეს გადა-
ხედავს.

რაკი სიდედრამაც დაჰკრა სიამამრის გრდემლს თან-
ხობის კვერი, საქმე კარგადაა. სიძეც კმაყოფილია.
სიმღერაც ჩნდება. ხან მევენახე ბერიკაცების სადღე-
გრძელო ისმება, ხან მეტარხლვ ბიჭების. ღვინო კი
მანც დალოცვილი ვახსია იცლება. ხანდახან წაფიე-
ბსა და წაფურებას უმარჯვებს სიამამრი სიძეს. სამ-
ჩარეჭიან ქაშაურის საღვინეს მესამედ ავსებს დიასა-
ხლისი.

— დარჩი...
— არა, დილაზე ადრე უნდა ავდეგე. წავალ.
— ფრთხილად იარე, ბნელი ღამეა.

— მგელი კი არ აგედევნოს... იცინის სიამამრი.
სიძე თრღობში მიბიჯებს, ბნელ ორღობეში.
აჰ მაინც, ამ კაკლებქვეშ რა წყევლია... წელი წინ
თუ არ გაიწოდებ, რამეს წააწვდები, ან თვალს გაჰ-
კრავ, ან... ჩუ... ეს რა არი?

რალაც ხმაური მოსდევს. ხმაური კი არა, რალაც
მიჰყვება, მიფარნობს ღობის გადაღმა... შედგება, ისიც
შეჩერდება. ნაბიჯს გადადგამს, ისიც აიდგამს. ფხს...
ფხს არჩატებს, ისიც აძუნძულდება. მიჰყვება, იქვე.
ღობის იქით და მიჰქაწვება.

მგელი...
უშიშარ გულში შიშმა როგორ შეაღწია?
უკვე ხამთრის პირია. ამ დროს. იციან მგლებმა
გამოსვლა. ასე იციან ადევნება!

სოფელი ახლოა, მაგრამ დაბრუნება სირცხვილია.
ორღობე კი თავდება. ორღობის ბოლოს შეხვდებიან
და... იარალი მანც ჰქონდეს. ამ ჯიბის დანით რას
განდება. წელან კურდღლის კანკიც კი ვერ გასჭრა ხე-
რიანად... იმიტომ იყო რომ ხელიდან გაუვარდა პირ-
თან მიტანილი ლუქმა.

მაგრამ აი, ღობის ლაწუნიც...
მგელი, მგელი... შავი, უზარმაზარი მგელი მისკენ
მორბის.

ეძვრა ქაბუკი, პირდაპირ ყანყარატოში სწვდა და
გულაღმა წააქცია.

ღმუის ნადირი, ფეხებს აფართხლებს. სახეს და
გულმკერდს უკაწრავს ადამიანს. მალე ფეხების ფარ-
თხალი წყდება. გაიმარჯვა ადამიანმა, დააღწრო ნა-
დირი.

იგი ფეხზე დგას. იცინის. მუბლიდან, ლოყებიდან,
ნაბრძოლი მარჯვენით სისხლს იწმენდს და ქმარს იხ-
სნის.

დაცადეთ, დაცადეთ... ენლავ თანხას გამოაბამს
და სიამამრის კართან მიათრავს. ნეტავ ცხენი ჰყავდეს,
უნაგირსუკან დაიკრავს. ჰმ, ფოცხვერი... ვნახოთ,
ვნახოთ ბებური ხარის რქა უკეთ ვწვავ, თუ მოზგრის
ქელი!

**

ოთახიდან დაფეთებული სიდედრ-სიამამრის ყვირი-
ლი ისმის. მეზობლებიც მორბიან. თეთრპურანგა
სიამამრი კარს გამოაღებს, ხელში მზრხოლაგი ტრაქი
უჭირავს. სიდედრს შალი წამოუხსნამს.

— რა იყო ბიჭო, რა დაგემართა, შინ შემო...
— აჰ... აქ-მო... აქ-მო...

ქოშინებს დალოცვილი სიძე. მაგრამ თავი ამაყად
უჭირავს.

ქული რა უყო, ქული სად დაჰკარგვია, შავი თმა
მუბლზე რად ჩამოშლია, სახე რად დასისხლიანებია,
მტერი ხომ არ დაესხა თავს?

ეს სიდედრის ფიქრია. საით არ გაუქანდა გული.
სიამამრი სიძესთან მიდის.

— აღარ იტყვი, ბიჭო...
— მგელი... მგელი...
ბურტყუნებს სიძე.
— სადა ბიჭო, სადა... აბა...

შეშფოთებით ამოძრავდება ბერიკაცი და შინისკენ
გაიწევს. დედაბრძე ჩამოკიდებული ძველი თოფი თუ
ახსენდება.

— აი, მოვკალი... მოვართვი!
იქვე, სიძის ფეხებთან, მართლაც, რალაც შავი
გდია. მბუტუბავი ტრაქით აშუქებს სიამამრი. მის გარ-
შემო მეზობლების წრე იკრება, ყველას თავი დაუხ-
რია, ზოგი ჩამოხლულა კიდევ... მხოლოდ სიძე დგას
ომბახით. წელში გამართული ხევიდან დაჰყურებს
წყევლიადაში აფსუსებულ სოფელს.

— ყოჩაღ, ბიჭო...
— ბარაქალა, ბარაქალა..

ნახეთ, ნახეთ, როგორ ამაყად ჩამოჯდება ახლავე,
თავის მაღალბურჯიან სელის სკამზე, როგორ თავ-
მომწონეთ ასწევს იმ ბროლის ტიქას... ხალხი გარს
ეხევა, ულოცავს...

ის-კი, ბერიკაცი, რას ჩაჰკირკიტებს და აღარ
იმართება წელში, ეჭვით რათ ათვალთვრებს, იქნებ არ
უნდა დაიჯეროს სიძის ვაჟკაცობა?
ოღონდა!

აი, წამოდგა. წელში გაიმართა. სიძესთან მივიდა,
ტრაქი შიგ თვალბუმი მიაშუქა. მის სისხლიან სახეს,
მოქანცულ თვალბებს ჯერ სინანულით შეხედა, შემდეგ
ყბები აუცახცახნა, წარბები აუთამაშდა, თეთრ წვერ-
ულვაშში ტყვიისფრად გამომკრთალ სქელტუნებსაც
მისწვდა სულის ანაზღაურული დეღვა... იქცა ხითხი-
თად, გულისმომკვლელ, დამცინავ, ნაცნობ ხითხითად.

— ხი... ხი... ხი... ხი... ხი...
— რა იყო ქა, ხომ არ გაგიდგი?.. რატომ არ იტ-
ყვი!

მოიცა დედაკაცი, მოიცა... აცალე ხითხითი ბერი-
კაცს, გულს მოიჯერებს, მოიხიბებს. დამხიდიდება და
გეტყვის... ყურში გეტყვის, მეზობლები რომ დაიშლე-
ბიან, სიძე რომ წავა, რომ სიძეს ის მაწაწაღლა მურა
ძალი დაუღრჩვია, აკი ადევნება უფვარდა ი სამგლეს,
ი ბერეს... ახლა ხმამალა ხომ არ იტყვის, ბიჭს
თავს ხომ არ მოსტრის ხალხში?.. კიდევ კარგი, კიდევ
კარგი ბნელა, ვერავინ მიხვდა... ბებური კი ტილადა
გუმანმა მიანხვდრა. აკი ვთქვი, ბებური ხარისა-მეთ-
ქი... ასე სჯობს: სიძეს გულს არ გაუფუჭებს, სატრა-
ბანოს დაუტოვებს, მეზობლებს კაინის სალაპარაკოს
მისცემს, საამაყოდ, სიძის საამაყოდ... აცადეთ, ისეთ
დროს წამოიძახებს, რომ... ამ ბერეს ამაღამ სადმე
ჩაჰფლავს და, მორჩა!..

მეზობლები დაიშალნენ, სიძეც წავიდა.
დედაკაცმა ტრაქი ჩააქრო. ბერიკაცი გულაღმა
წევს, გავლილი ამბავი თვალწინ უტრიალებს, ხითხი-
თებს, ხითხითებს, გულს უკლავს სიძისმოყვარულ სი-
დედრს.

— ენლა მეტრახანოს, ხი, ხი, ხი...
— რა მოხდა, რა არის აქ სახითხითო, რა ნახა
ამ სულმყრალმა, რას ქოთქოთებს, რას ესიცილება
თავის ფიქრს?..

ხითხითში სთვლემს ბერიკაცს, თვალს უხუტავს
ტიპილ სიამამრს.

გვიანი მთვარე ამოსულა და ფანჯრიდან იხედება.
მთვარის სხივი აჩენს ბერიკაცის ბაგეზე შერჩენილ
ცბიერ ღმილის.

უცებ ძველი ეჭვი იღვიძებს, ეხვევა დედაკაცის,
გულს. ხელისკრით ალგიძებს ბერიკაცს:

— კაცო... გაიღვიძე, კაცო!
— რა იყო?— ბუზლუნებს ბერიკაცი და ისევ საძი-
ლედ ემზადება.

— კაცო, რა გაცივებდა წელან, ერთი მითხარი...
განა არ ვიცით, რომ ი შენი ფოცხვერიც ოინი იყო!


— ჰა? რა იცი?..
ელდანაკრავივით წამოიძახა ბერიკაცმა და ტანტ-
ზე შემკრთალი წამოჯდა.

ახლა დედაკაცი ხითხითებს. დაიჭრა ტყუილში
ქმარი, რქა წამტვრია ბებურ ეშმაკს.

— განა?.. იხითხითე ენლა, იხითხითე... რატომ
არ იცინი? რა მოხდა, შესცდა ნასვამი ბიჭი, მკლავის
ძალამ აცდინა, შენ კი... ენლა კი, შენც სუ... გაჩუღდი
თორემ...

— მიწვე და მიიძინე დედაკაცი... რალა დროს ეგ
არი...

ჩაწყვეტილი ხმით ამბობს ბერიკაცი და კიდ-
ლისკენ ბრუნდება. აჯობა ბიჭმა, აჯობა... სიდედ-
რმა უშველა... რამ გაახსენა დაწყვეტილი ფოცხვერი...
დახეთ დიაციის ჭკუასა, სად გასჭრა, სად გაიტანა
გუმანი?!
გოგინება



პროფ. ა. ალადაშვილი



პროფ. ს. ყიფშიძე



პროფ. დ. იოსელიანი

ერთხელ

თუ მარილი დაკარგა...

ერთხელ ვოდევიდების ცნობილი ავტორი პ. კარტიგინი მიწვეული იყო ნიკოლოზ 1-ის დოქაში, სადაც მეფესთან ერთად მისი ძმა მიხეილიც ესწრებოდა. უკანასკნელი უმარად „მოსწრებულ“ სიტყვებს ურთავდა დრამატურგთან დაპარაკში.

— ჩემი ძმა პურს გართმევს, — უთხრა ნიკოლოზმა კარტიგინს.

— არაუშავს თქვენო უდიდებუდესობავ, რადგან მარილი მაინც მე დამრჩება!

მოკლედ და გაკვებით

ერთხელ ერთი ოფიცრის ცოდმა თავის ქმარს უჩივდა სუვოროვთან:

— თქვენო ბრწყინვალეზავ, ის ძლიერ ცუდად მეპყრობა!

— ეს მე არ მეხება, — მიუგო სუვოროვმა.

— მაგრამ ის ზურგს უკან თქვენც განძღავეთ ხოდმე!

— ეს კი, ქადაბონო, შენ სრუდებით არ გეხება, — მოუჭრა სახედოვანმა სარდალმა.

მოსწრებული ქარავმა

ერთხელ ჰენრიხ ჰაინეს, მუსაიფის დროს, მისმა ერთ-ერთმა თაყვანისმცემელმა, საკმაოდ შეზღუდული გონების პატრონმა ქალიშვილმა ალტაცებით უთხრა:

— მე თქვენ გწირავთ მთელს ჩემს აზრებს, ჩემს სულსა და გულს!

— სიამოვნებით ვლებულობ, — მიუგო პოეტმა, — პატარა საჩუქრებზე უარის თქმა მიღებული არ გახდავთ!



პროფ. ვ. ანდლულაძე



პროფ. გ. დიდბუღიძე

საით გაქრა ჩვენი დარჩო!

(სოფ. მუკუზანი, გურჯაანის რაიონი)

გაზეთების დამტარებლად მარანდოვი გვყავდა დარჩო, რაზანია დაიკარგა, რამ ჩაყლაპა, რამ დააღრჩო! გაზეთები გაიტაცა, წერილების მთელი გროვა,

კითხულობენ: ჩვენი დარჩო მუკუზანში როდის მოვა? ამბობენ, რომ გაზეთების ფულიც ბევრი წაჰყვე თანა, ამნაირი ცუდლუტობა შევერგება იმას განა?

სტიშანი პრეტორი



— როდის დასძრავენ ამ ტრაქტორს ადგილიდან?
— როცა ჩვენი მტრ-ის დირექტორს ადგილიდან დასძრავენ.